საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუნაზარე

მუნაზარე (სპარს.< არაბ. მუნაზარა – პაექრობა, კამათი), ლიტერატურული ჟანრი, რ-იც გულისხმობს ორი საგნისა და პირის გაპაექრებას უპირატესობის დამტკიცების მიზნით. ცნობილი იყო ჯერ კიდევ სასანიანთა ეპოქაში. ახ. სპარსულ პოეზიაში **მ.** გამოიყენა ასადი ტუსიმ (XI ს.), შემდგომ საუკუნეებში ამ ჟანრმა დამოუკიდებელი არსებობის უფლება მოიპოვა და გავრცელდა მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ლიტ-რაში. გვხვდება აღორძინების ხანის ქართ. პოეზიაშიც – თეიმურაზისა და არჩილის „გაბაასებანი“ (იხ. *გაბაასება*).

ლიტ.: ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე მ., ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2016; ქ ი ქ ო ძ ე ბ., გაბაასების ჟანრის ისტორიისათვის, ბათ., 1955.

ა. გვახარია